ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2390 ორშაბათი, 26 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2390

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

კნეინა მარიამ ალექსანდრეს ასული, კნიაჟნა ქეთევან ივანეს ასული რუსიშვილები და კნეინა ნინო ივანეს ასული ერისთვიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მულის და უკანასკნელნი—მამიდის

კნიაჟნა მარიამ რომანის ასულის რუსიშვილისას,

რომელიც გარდაიცვალა ქ. თელავში 23 იანვარს. გამოასვენებენ სამშაბათს, 27 იანვარს, წირვა პანაშვიდის შემდეგ ღვთაების ეკკლესიაში და დაკრძალვენ იქვე. (3—ნ.—2)

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.
ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
სამშაბათს, 27 იანვარს, 1904 წ., გ. მ. სანგურსკის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება
1. რუსალკა, 2. რობერტ დიავოლო, და 3. სევილელი დალაქი
(3 მოქ.) (მე-3 მოქ.) (1 და 2 მოქ.)

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: კარტავინა, სკორუპსკაია, ბ-ნნი: რაისკი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, სანგურსკი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ა ნ ო ნ ს ი: 28 იან. ბენ. კარტავინასი „ფრა-დიავოლო“; 29 იან. კასირის ბენ. „კამორრა“; 31 იან. რადინას ბენ. „ტოსკა“; 3 თებ. „მშვენიერი ელენე“ (2 აქტი), ბოშების სიმღერები და ნეაპოლიტანური სიმღერები წარ. „მასკარადის“ შემდეგ.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეებით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ატანპარმაკლიძისა. (0—6.—40)

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—11 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—9)

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქუთაისში
კბილის ექიმი
მ. ი. ბეგიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ინგლისურ გაზ. „სტანდარდ“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: ჯარმა და ფლოტმა სამხედრო მზადება დაასრულა. იმპერატორმა ბრძანება გამოსცა, ჯარისა და ფლოტის ოფიცრებსა და ჯარის-კაცებს ჯამაგირი მოემატოსო.

„დეილი გრაფიკ“-ი იუწყება: რუსეთმა საპასუხო ნოტა შეადგინა და იაპონიის ელჩს პეტერბურგში ჩააბარა. ამ ნოტით მოლაპარაკება დასრულდა. რა წამს ამ ნოტას ტოკიოს მთავრობას ოფიციალურად ჩააბარებენ, იაპონია მაშინვე იარაღს სტაცებს ხელს თავის ინტერესების დასაცველად.

გერმანულ გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ის კორესპონდენტისათვის ერთს რუსის დიპლომატს უთქვამს პეტერბურგში: „რუსეთი ძლიერ ეცდება, რომ იაპონიას მოურიგდეს. კორეის თითქმის მთლად ვუთმობთ იაპონიას. მანჯურიაშიც ყველა სახელმწიფოს ვაჭრობის უფლებას ვაღიარებთ, ამაზე მეტს კი ველარას დავუთმობთ. ასე რომ ეხლა ომისა თუ მშვიდობიანობის საქმე იაპონიაზეა დამოკიდებული“.

ინგლისური გაზეთები იმუქრებიან: თუ იაპონია დამარცხდება, ინგლისის ფლოტი დარდანელის სრუტეს გაარღვევს, შავს ზღვაში შევარდება და რუსეთის ფლოტს ამ ზღვაში სულ ერთიანად გაანადგურებსო. ინგლისს ამ საქმისათვის ხმელთა შუა ზღვაში ეხლავე 35 სამხედრო გემი ჰყავს დამზადებულიო.

ინგლისურ გაზეთებს ოდესიდან (რუსეთიდან) ატყობინებენ: სამხრეთ-რუსეთში ხალხი მეტად შეშინებულია. ყველას ეშინიან, ვაი თუ ინგლისის ფლოტი შავ ზღვაში შემოიჭრას და ყველა ნავთსადგური: ოდესა, ნოვოროსიისკი, სოხუმი, ბათუმი და ყირიმის ქალაქები მიანგრ-მოანგრიოსო.

იგივე გაზეთები იუწყებიან: თუ ომი მო[illegible] გერმანია უსათუოდ რიგას, რეველს და ოსტზეის გუბერნიების ნაწილს დაიჭერს და რუსეთის ფლოტს ბალტიის ზღვის გასავალს შეუკრავსო.

კომბის სამინისტროს მომხრე ფრანგული გაზ. „მატენ“-ი სწერს: თუ ომი მოხდა, ვისი მხარე უნდა დაიჭიროს საფრანგეთმა: რუსებისა, თუ იაპონელებისა? ბევრს ჰგონია, რომ საფრანგეთი უსათუოდ თავის მოკავშირე რუსეთის მხარეს დაიჭერსო, მაგრამ ჯერ მეტად ძნელი გამოსაცნობია, როგორ მოიქცევა ჩვენი ხალხი. მეტადრე თუ იაპონელები დამარცხდნენ, ჩვენი ხალხი მაშინვე იმათ მხარეს გადავა. ფრანგები ყოველთვის სუსტ ერს თანაუგრძნობენ ხოლმე, ყოველთვის ასე ყოფილა ჩვენს ისტორიაში და ეხლაც ასე იქნება“.

ახალი ამბავი

◆ როგორც ერევნიდან „კავკაზ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, ვიღაც კაცს განუზრახავს ეჩმიაძინის **მაზრის უფროსის შმერლინგის მოკვლა**. შმერლინგი სასამართლოში ყოფილა დაბარებული მოწმედ სომხების საქმის გამო. როდესაც უკან ეჩმიაძინში ბრუნდებოდა და ერევნის მიყრუებულ ქუჩებზე გაუვლია, მიჰვარდნია ვიღაც უცნობი კაცი და უსროლია, მაგრამ ტყვია აუცდენია.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის მიმოსვლის უფროსის** თანაშემწედ დანიშნეს პრივისლიანის რკინის გზების მიმოსვლის უფროსად ნამყოფი ტერენტიევი.

◆ ბათუმიდან ბ-ნ გუნიასაგან შემდეგი დეპეშა მოგვივიდა: „საზოგადოების თხოვნით **განმეორებულ იქმნა „ღალატი“**; არტისტების მწყობრმა და ნიჭიერმა აღსრულებამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ავტორს, თავ. სუმბათაშვილს, სამადლობელი და აღტაცებული დეპეშები გაეგზავნა“.

წერილი ქვემო-იმერეთიდან

სასწავლებლები.—ბანკები.—ცრუ-მორწმუნეობანი.—სოფლის მოხელეთა არჩევანი.

ქვემო იმერეთში სულ 50-მდე პირველ-დასაწყის სკოლას დასთვლით. ამათ შორის—40-მდე სავაჟოა, დანარჩენი-კი საქალებო. 17-18-მდე ორკლასიანია, დანარჩენი-კი თითო-კლასიანი, გარდა ორ-სამ საქალებო სკოლისა, რომელნიც ორ-ორ კლასიანად გადაუკეთებიათ. საქალაქო სასწავლებელი მხოლოდ სამია—2 ქუთაისში და ერთიც ხონში. ქვემო-იმერეთს, რომელიც 22,000 კომლ მცხოვრებისაგან შესდგება და სადაც სწავლა-განათლების სურვილი დღითი-დღე ძლიერდება, დადგება ბავშვების მიღების დრო თუ არა, სკოლების ეზოები ახლად მისაღებს ბავშვებით ივსება; გაისმის მშობლების აურ-ზაური: „არა ჩემი ბავშვი მიიღე და არა ჩემიო.“ დიდ ვაი-ვაგლახის შემდეგ ას მთხოვნელში შეიძლება ნახევრამდე დაკმაყოფილდეს, დანარჩენი უსკოლოდ რჩება. აუცილებლად საჭიროა თითო-კლასიანი სკოლები ორ-ორ-კლასიანად გადაკეთდეს ან ახალი სკოლები გაიხსნეს, ამას ხალხიც-კი ჰგრძნობს, მაგრამ რა ჰქმნას! მატერიალური მდგომარეობა ხელს უშლის, ხაზინა საკმარის შემწეობას ვერ უწევს და სწავლა-განათლების საქმე ისევ იმ პირობებში რჩება. დ. სამტრედიას, ს. დიდი-ჯიხაიშს, ბაღდათსა და მრავალ სხვა ადგილებშიაც, სადაც ყოველ წლივ 300—350 ბავშვი სწავლობს, კარგა ხანია საქალაქო სასწავლებლებს საჭიროებენ, მაგრამ ჯერ ვერას ვხედავთ და სულ მომავლის მოლოდინში ვართ.

ხალხის იმედი სიმინდის მოსავალია, რითაც იგი ყოველ-გვარ საზოგადო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მაგრამ იმედი მისი ხშირად ცრუვდება. ვენახები მოისპო, სიმინდი ხშირად მცირე მოსავალს იძლევა და თუ ვინმე ზედ-მეტს სიმინდს ჰყიდის, ამისთანები ძალიან ცოტაა. ვენახების მოშენებასაც მდიდრები უფრო ახერხებენ. სოფლის ბანკები (ქვემო-იმერ[illegible]0-მდე დაითვლით), რომელნიც ვითომდა დასახმარებლად დაარსდა, ღარიბებისათვის ვერაფერი ხელის შემწყობი შეიქმნა და ისევ შეძლებულებს დაუსაკუთრებიათ! ღარიბ-გლეხს ბანკიდან რომ 100 მან. გამოტანა დასჭირდეს, ჯერ მან ორი-სამი თავმდები უნდა იშოვოს (იშოვის თუ არა, ვინ იცის) და საწევრო პაის ფული 50 მან. წინდაწინვე შეიტანოს. როგორც ვსთქვით—გლეხ-კაცის იმედი მიწაა და თუ მოსავალმა უღალატა, მაშინ სახლი, ან ისევ მიწა უნდა გაჰყიდოს და ამნაირად ბანკი დააკმაყოფილოს. ბევრია, რომ ბანკში ნაწილი არა აქვს. რომ ბანკის წევრი შეიქმნე, საწევრო პაის ფული უნდა მოსძებნო, რაც ღარიბ-კაცისათვის საძნელო მოსახერხებელია; ბევრს თვით ბანკიც არ იღებს. არ ენდობა, ის „შეუძლოა და ვალს ვერ გადაიხდის“-ო. ერთის სიტყვით, უმეტესი ნაწილი ღარიბ-ხალხისა ისევ გაჭირვებული რჩება და დახმარებას ვერსაიდან ჰხედავს.

მრავალი ცრუ-მორწმუნოება, შეუგნებლობა ხშირად წინ ეღობება ხალხის კეთილ-დღეობას. ამ ბოლო დროს ჩვენსკენ „ყვავილი“ და სხვა გადამდები ავადმყოფობაც მძვინვარებს. ხალხმა ამცრელებს მიჰმართა. ბევრი, რომ ორი-სამი შაური ხელში მოიგდოს, „ამცრელობას“ ჩემულობს. დაჟანგულ ხელსაწყოისა თუ უხეირო აცრის მიზეზით ბევრნი სიცოცხლეს ესალმებიან.

დიდ სამსახურს გაუწევდნენ ამ მხრით ხალხს სამკითხველოები და საკვირაო სკოლები. მთელ ქვემო იმერეთში მხოლოდ ორი საკვირაო სკოლა არსებობს—სამტრედიასა და ხონში. დიდ-ჯიხაიშში, სადაც თითქმის ყოველ-გვარ საზოგადო დაწესებულებას თავი შეუყრია და ბაზრობაც იმართება, საკვირაო სკოლა აუცილებლად საჭიროა. საჭიროა მხოლოდ ნებართვის აღება, რის მოხერხება და თაოსნობა აქაურ სკოლის მასწავლებელ ქალებსაც კი შეუძლიანთ, მაგრამ თავს არავინ იმტვრევს.

ჯერ აქეთ მამასახლისებისა და სოფლის მოხელეთა არჩევა არ დამთავრებულა. ღირსი და უღირსი, ჭკვიანი და უჭკუო, ყველა „მამასახლისობას“ დაეძებს, რისთვისაც, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, ბევრი ღვინო და არაყი იხარჯება აქეთ. მოხდება ყრილობა თუ არა, ასტყდება უთავბოლო „პარტიობა“; „აგენტები“ ერთმანეთს ეჯიბრებიან და, საუბედუროდ საზოგადოებისა, მამასახლისად ხშირად, (რომ იტყვიან) მართლა და „ჭკუის კოლოფი“-ს პატრონი რჩება. სასურველია საზოგადოება ამ გარემოებას უკვირდებოდეს და „მამად“ ისეთ პირს ირჩევდეს, რომელსაც დღევანდელი ცხოვრებისა გაეგებოდეს რამე და საზოგადოების უფრო ერთგული მოსამსახურე იყოს, ვიდრე საკუთარის ჯიბისა. დიდ-ჯიხაიშში მოხდა მამასახლისის არჩევანი. მაგრამ არჩევანი გაასაჩივრეს და ამ ცოტა ხანში ხელახალი არჩევანი მოხდება.

ბა—გე

წერილი ერევნიდან

ნინოობა.—„ქართული საღამო“.

14 იანვარს, როგორც წინა წლებშიაც, ერევნის ქართველებმა მოისმინეს ქართულ ენაზე წირვა და პარაკლისი, რომელიც გადახდილ იქმნა სამხედრო ეკკლესიაში. მწირველი იყო დეკანოზი იორდანიშვილი, რომელმაც დღეობის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და გააცნო დამსწრე ხალხს წმ. ნინოს ცხოვრებ. გალობდა ქართველთა გუნდი მამა ვარდიაშვილის ლოტბარობით. წირვისა და პარაკლისის შემდეგ ქართველ გიმნაზიელების თხოვნით გადახდილ იქნა პანაშვიდი ორის თვის წინად გარდაცვალებულ მერვე კლასის მოსწავლის ალექსანდრე ფარესიშვილის სულის მოსახსენებლად. საზოგადოება ბლომად დაესწრო. ყველა სასწავლებლიდან თავისუფალნი იყვნენ ქართველი მოსწავლენი. აგრეთვე მხედრობაც. ქართველთა რიცხვი ერევანში თან და თან მატულობს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვეულებრივ ერთობას ძლიერ ერიდებიან. ერთად-ერთი საგანი შეერთებისა, როგორც გასულმა წელმა დაგვანახვა, ეს „ქართველი საღამო“-ა, რომელსაც წელსაც აპირებდნენ, მაგრამ რადგა

მიზეზების გამო არ შედგა. გასულ წელს „ქართულ საღამოს“ ერევნის საზოგადოება, ეროვნების განურჩევლად, მხიარულად მიეგება და შემოსავალიც კარგი იყო. არ იქნება ურიგო, რომ საცეკვაო საღამო მაინც გაემართათ, თუ ხორო არ მოხერხდა. როგორც გადმოგვცეს, სხდომაზე ზოგიერთ პირებს ის აზრი გამოეთქვათ, რომ მოეკრივათ ფულად და გადაეცათ „ქ. შ. გ. ს.“ მაგრამ არც ეს მოხერხდა მგონი. —კი

დაბა-სოფლები

სოფ. სტეფან-წმინდა (ხევი). 14 იანვარს, ნინოობა დღეს, ადგილობრივ სკოლის დარბაზში გაიმართა შობის-ხე და სალიტერატურო-სამუსიკო საღამო მოწაფეთათვის. საღამო შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან. მოწაფეებმა წაიკითხეს ლექსები და სცენები რუსულ და ქართულ ენაზე, იმღერეს რჩეული სიმღერები მასწავლებლის ბ-ნ ჩოხელის ლოტბარობით. დასასრულ მოწაფეებმა შობის-ხეს სიმღერით შემოუარეს, ითამაშეს და ბოლოს მიიღეს საჩუქრები, რის გამო იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. საღამოს დაესწრ[illegible]ხუარებელი ხალხი, როგორც ამ, ისე სხვა სოფლებიდანაც; იყვნენ აგრეთვე მეზობელ სკოლის მოსწავლენიც. საღამომ საუცხოვოდ ჩაიარა. დამსწრენი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ როგორც მოწაფეების ლექსების კითხვით, ისე სიმღერებით.

ამავე საღამოს ყაზბეგის სკოლაში სცენის-მოყვარეთ დადგეს კომედია ი. მაჩაბლისა „ადვოკატი მელაძე“. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. მოთავეთ ეს წარმოდგენა უფასოდ უნდოდათ, მაგრამ შემდეგ მცირე ფასი დაადეს. დასაწყის იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ მომეტებულ ფასსაც არავინ შურობდა· წესიერების დაცვა ველარ მოახერხეს და ძნელი გასარჩევი-ღა შეიქმნა ბილეთიანი და უბილეთო. წარმოდგენამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. მონაწილეობას იღებდნენ: და-ძმა შადურები, ს. შადური, ვ. თოფაძე, ბ. აბრამიშვილი და ლ. ალიბაგაშვილი. თავისი როლი ყველას კარგად ჰქონდა შესწავლილი, თუმცა დრო ცოტა ჰქონდათ მოსამზადებლად. ეს წარმოდგენა პირველი ცდაა ხევში. წარმოდგენამ იმდენად იმოქმედა ხალხზე და უმეტესაც ახალგაზდობაზე, რომ ეს უკანასკნელი ჰფიქრობს დააროს სცენის-მოყვარეთა მუდმივი წრე და მართოს წარმოდგენები. საჭიროა მხოლოდ სცენის მოწყობილობისა და ტანისამოსის შეძენა.

დამსწრე.

ს. ციმი (ოსეთი). ამ სოფელში, სულ თოთხმეტი კომლი მაჰმადიანი ოსია, დუდაროვები და ხიბლიევები. დიდი ხანია, რაც ამ ორ-გვარს—დუდაროვებსა და ხიბლიევებს ერთმანეთში დავა აქვთ ტყისა და სათიბის თაობაზე. ამ ოცი წლის წინადაც ერთმანეთში კაცები დახოცეს და დღემდინაც ისევ მოსისხლეობა ჰქონდათ და საცა მოასწრობდნენ ერთმანეთს, სცემდნენ, თავ-პირს ამტვრევდნენ და ს[illegible]დნენ. ამათ დავის მოსპობას არა გაეწყო-რა. დღეკიდევ ამ ორგვარს სისხლზედ სისხლი დაერთო. თექვსმეტს ამ თვეს ხიბლიევებს სამი ურმით ტყიდან შეშა მოჰქონდათ. წინა ურემს გადაეღობა დუდაროვი ხამბი (გენერალ მახამეთაშვილი), შეაყენა და უთხრა: „არ გაგატანთ შეშას, ჩემი ტყიდან მიგაქვთო.“ ხიბლიევიც, რასაკვირველია, გაუძალიანდა, სხვებიც მიეშველნენ და მოინდომეს დუდაროვის ცხენიდან ჩამოგდება. დუდაროვმა ნახა, რომ საქმე ცუდად იყო, გადმოიგდო ზურგიდან ბერდანის თოფი, დასცა ხიბლიევს და იქვე გააგორა. სხვა ხიბლიევებიც მისცვივდნენ, ბერდანა წაართვეს, მაგრამ დუდაროვი მაგრად გაუსხლტათ ხელიდან და მოკურცხლა. ერთი ხიბლიევთაგანი გაიქცა შინ (სოფელზე ახლო იყვნენ), გამოარბენინა თოფი და დაუწყო სროლა გაქცეულ დუდაროვს. ხიბლიევმა ორი ტყვია ააცდინა, მაგრამ მესამე-კი მოარტყა მარცხენა ფერდში. დუდაროვს ახლა ძმა გამოეშველა, დაუწყო სროლა ხიბლიევს. ორსავე მხარეს საშინელი სროლა ასტყდა და ერთმანერთს კეთილს არ დააყრიდნენ, ჯაირახიდან დარაჯი ყაზახები რომ არ მოსულიყვნენ და არ გაეშველებინათ. დაჭრილი დუდაროვი კავკავის საავადმყოფოში წაიყვანეს. გამოძიება სწარმოებს, მაგრამ ეს გამოძიებაც უსისხლოდ არ გათავდება.

ქართველი ოსებში.

დ. აბასთუმანი (ქართლი). თოვლი და მხოლოდ თოვლი! სძინავს, ღრმა ძილით სძინავს დ. აბასთუმანს. კიდევ რამდენმა მოუთმენელმა თვემ უნდა განვლოს, რომ კვლავ ძილს გამოერკვეს, გამოცოცხლდეს ჩვენი დაბა. სულ ორი თვე ჰგრძნობს აბასთუმანი ძრიელ სიცოცხლეს, სულ ორი თვე სჩქეფს და გადმოდუღს აქ სიცოცხლე და აი ამ სიცოცხლეს ხარბად ეწაფება სააგარაკოთ მოსული ხალხი. ეს მოკლე ხანიც საკმარისია, რომ აბასთუმნის ტურფა ბუნებამ, მშვენიერმა ჰაერმა მთლად მოაჯადოვოს, მოხიბლოს და აგრძნობინოს ყველა ცხოველს ძრიელი სურვილი სიცოცხლისადმი. თვალის დახამხამების უმალ გარბის ეს დრო და კეკლუცი აბასთუმანი ეძლევა კვლავ სალათას ძილს მთელ ათ თვეს. დიდის ყურადღების ღირსია აბასთუმნის მიდამო ისტორიულის ნაშთებით. ხშირის ტყით ჩაბნელებულ ხეობებში მრავლად გაფანტულია ნაქალაქევნი, ნასოფლარნი, ციხე-კოშკები და ტაძარნი. შესანიშნავია ამით უფრო კურცხანის ხეობა. აქ ორ დიდ ნასოფლარს შუა უფრო კარგად დაცულია ერთი ჩუქურთმიანი ეკლესია, რომლის წარწერანი დაცულია აბასთუმნის სასახლის ბაღში. აქვე ხევში მთლიანად დაცულია ძველი „ოთხ-ქვიანი“ წისქვილი, რომელსაც გამაჰმადიანებული აქაური ქართველნი ეძახიან „დორთ ტაშ“-ს. წისქვილის სამი კედელი და ჭერი შესდგება ოთხ უზარმაზარ ქვისაგან. წისქვილი ერთ თვლიანია. ექვსი წლის წინად აქ დასახლება სთხოვა მთავრობას 11 თუ 12 კომლმა უადგილმამულო ქართველმა, მაგრამ იმათი თხოვნა დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. შარშან, სახელმწიფო ქონებათა ახალ გამგის ბ-ნ ზელენინის მოსვლით გამხნევებულმა მთხოვნელებმა განაახლეს თავიანთი თხოვნა. ბ-ნი ზელენინი ყურადღებით მოეკიდა უკანასკნელების თხოვნას და ბრძანება მისწერა აბასთუმნის ტყეების გამგეს, დაეკმაყოფილებინა თხოვნა ზემო მოხსენებულ ქართველებისა. ვნახოთ რითი გათავდება საქმე.

მიხაკო

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 იანვარი

პეტერბურგი. 23 იანვარს ერმიტაჟის თეატრში მათ უდიდებულესობისა და მათ უმაღლესობის თანადასწრებით წარმოდგენა გაიმართა.— 24 იანვარს მათ უდიდებულესობათ აკვარელისტების გამოფენა დაათვალიერეს.

სტამბოლი. რადგან ოსმალეთის მთავრობამ აჯანყებულ მაკედონელებს ყველას არ აპატია და მაკედონიაში განსაკუთრებული წესები არ მოსპო, ამიტომ ამ ბოლოს დროს ოსმალეთსა და ბოლგარიას შუა ურთიერთობა გამწვავდა.

ბერლინი. რეიხსტაგმა მესამედ წაკითხვის შემდეგ საბოლოოდ დაამტკიცა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ძველ კანონს ჯარის თაობაზე კიდევ ერთის წლის განმავლობაში ექნება ძალა.

ვლადივოსტოკი. ტოკიოდან მოსული და აქ გავრცელებული ხმას, ვითომ აქედან იაპონელთა გადასახლება რუსეთის მთავრობის განკარგულებით მომხდარიყოს, გადაჭრით უარჰყოფენ; იაპონიის სავაჭრო აგენტმა სთქვა, ცირკულიარული დეპეშით აქ მცხოვრებ იაპონელებს ვლადივოსტოკში გემ „აფრიდის“-ის მოსვლა მე თვითონ შევატყობინე და ვაუწყე, იაპონელებს ამ გემით შეუძლიანთ სამშობლოში დაბრუნებაო. ცირკულიარი ტოკიოდან მოსულ განკარგულების თანახმად არის გაგზავნილი.

ბელგრადი. გრუიჩმა და პროტიჩმა ახალი კაბინეტის შედგენაზე უარი განაცხადეს.

ვლადივოსტოკი. საქმის საზოგადო მდგომარეობის შესახებ აქ არავითარი ცნობები არა აქვთ; თვით მთავრობამაც კი არაფერი იცის; მათ მოსდით მხოლოდ განმარტებული განკარგულებანი, საიდანაც სჩანს, რომ მტრის მოსაგერებლად მომზადება თან-და-თან მატულობს; რაც შეეხება უმთავრესს განკარგულებას, ფულის გადადების შესახებ, არ არის, უამისოდ კი მრავალი მომზადება შეუძლებელია. გამოურკვეველ მდგომარეობისა გამო საზოგადოება ცუდ-გუნებაზეა; ვაჭრობა და ბანკების ოპერაციები შესწყდა. რადგან ალყის შემორტყმას ელიან, განზრახულია უსურიის გზის მმართველობა და ოლქის სასამართლო ხაბაროვსკში გადაიტანონ, საოლქო გამგეობა—უსურიის ნიკოლსკში; აღმოსავლეთის ინსტიტუტი და სამოსწავლო დაწესებულებანი დაკეტილ იქმნებიან. ხმა დადის, ადგილობრივი მკვიდრნი მოვაჭრენი იქმნებიან სურსათი მოამზადონ. რასაკვირველია, ათასი სულელური ხმაც დადის. ყოველ დღე მობილიზაციას ელიან. „ვოსტოჩნი ვესტნიკ“-ს იმედი აქვს, საქმე არ გამწვავდებაო. ქალაქიდან გამსვლელთა რიცხვი ქალაქში შემოსულთა რიცხვს სჭარბობს. „ვოსტოჩნი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია წერილი კვანტუნიდან, რომელშიაც ნათქვამია, ხმა დადის ინკოუ-შანხაიგუანის რკინის გზას ისევ რუსეთს უბრუნებენო. კიახტა-პეკინის რკინის გზის გამოკვლევა გათავდა. ხმა დადის, კორეის საზღვრისკენ მიმავალი რუსეთის შვიდი პოლკი შეჩერდაო.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატის საზღვაო კომისიამ საზღვაო საქმეთა სტატს-სეკრეტარის 1904 წლის შესახებ პროგრამა მიიღო. კომისია პალატას წინადადებას მისცემს, გადასდოს საჭირო ფული შემდეგი გემების ასაშენებლად: ერთი სამხედრო გემი, რომელმაც 16,000 ტონნა უნდა აიწონოს, ორი ჯავშნიანი კრეისერი, თითო 14,000 ტონნა და სამი სწრაფმავალი კრეისერი, თითო 3.500 ტონნა.

სტამბოლი. ელჩმა სულთანს წარუდგინა გენერალი ჯიორჯისი, რომელიც ოსმალეთის დივიზიის გენერლის ტანისამოსში იყო. სულთანმა გენერალი ძალიან თავაზიანათ მიიღო.

ტურინი. ავტომობილთა საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა.

ტულჩინი. დღეს, დილის 5 საათზე მიწა იძრა.

25 იანვარი

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრის ცირკულიარული დეპეშა საიმპერატორო რუსეთის წარმომადგენელთა მიმართ საზღვარ-გარედ: „პეტერბურგი, 24 იანვარი 1904 წელს. თავის მთავრობის მინდობილობით იაპონიის ელჩმა უმაღლეს კარის წინაშე ნოტა წარადგინა, რომლითაც იმპერატორის მთავრობას უწყება. იაპონიის გადაწყვეტილება მოლაპარაკება შესწყვიტოს და ელჩი და საელჩოს ყველა წევრნი პეტერბურგიდან გაიწვიოს. ამის გამო ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინება და უმაღლესად ბრძანა, რომ ტოკიოში მყოფმა რუსეთის ელჩმა საიმპერატორო საელჩოს მთელის კრებულით იაპონიის სატახტო ქალაქი დაუყოვნებლივ დასტოვოს. ამგვარი ქცევით ტოკიოს მთავრობა, რომელმაც ეხლახან კაგზავნილს საიმპერატორო მთავრობის პასუხს არც-კი დაუცადა, პასუხის მგებელი იქნება იმისა, რაიც ორივე სახელმწიფოს დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას მოჰყვება.

პეტერბურგი. პოლკოვნიკი შარპანტიე გროდნის გუსართა ლეიბ-გვარდიის პოლკის უფროსად დაინიშნა.

ჰააგა. რადგან იაპონიასა და რუსეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა, ამიტომ მთავრობამ განკარგულება მოახდინა, კრეისერი „ფრისლანდი“ ინდოეთში წასასვლელად ყოველთვის მზად იყოს, რათა ზღვაში, თუ საჭიროება მოითხოვს, ნიდერლანდიამ ნეიტრალიტეტის დაცვისთვის შეიარაღებული გემი იყოლიოს.

სვაკოპმუნდი. ცხარე ბრძოლის შემდეგ ფრანკეს რაზმი ომარურუში შევიდა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ომარურუს გარშემო მტერი არტყია. 25 იანვარს კარიბიბიდან იქ მაშველი რაზმი წავა. ვინდგუკამდე გზა შესწორებულია.

კარაკასი. („რეიტ. სააგ.“) 18 იანვარს ორინოკოს ნაპირებზე ყურე პარიასთან მიწა ძლიერ იძრა.

ტოკიო. („რეიტ. სააგ“.) იაპონიიდან ჩინეთსა და კორეაში ჩვეულებრივი გემთა მიმოსვლა შესწყვიტეს.

სინგაპური („რეიტ. სააგ“.). იაპონიის სამხედრო გემები „ნისინი“ და „კასუგა“ [illegible] წავიდნენ.

ჰელსინგფორსი. პოეტ რუნენბერგის ასის წლის დაბადებისა გამო გუბერნატორის ნებართვით გუშინ ქალაქი განათებული იყო. უნივერსიტეტმა, სკოლებმა და სხვა-და-სხვა საზოგადოებებმა პოეტის ხსოვნა იდღესასწაულეს. წესრიგი საუკეთესო იყო.

მოსკოვი. სოლოდოვნიკოვის თავშესაფარში ურალის სურათების გამოფენა გაიხსნა; გამართულია მადარო; ოქროს გარეცხვის წესს აჩვენებენ.

ხარბინი. ვლადივოსტოკიდან მოსულმა იაპონიის კონსულის სეკრეტარმა რკინის გზის მიდამოებში მცხოვრები იაპონელები ააშფოთა. იაპონელები საქონელს შესანახად აძლევენ, ზოგნი ჰყიდიან და სამშობლოში მიდიან. სურსათზე ფასი მატულობს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი·

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევს 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპანამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპანამდე: № 11/12 ნაშუადღევს 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

აფხანაურის სანერგე

ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქავე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904/5 წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—6—4)

საფაბრიკოსაწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—118)

ტელეფონი № 741 დაარსების მიზანი ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. მხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ აყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიაფოს. ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ Фармацевтика. (0—84)